მესამე შედარება არის ყველაზე ცნობილი შედარება და ყველაზე ცნობილი ტექსტი ალბათ, რომელიც პლატონს დაუწერია. ეს არის ტექსტი, რომელსაც ვიცნობთ გამოქვაბულის ან მღვიმის იგავის, შედარების, მეტაფორის, მითის სახელით და რომელიც არის გამეორებული თუ ნაციტირები თუ გამოსახული ძალიან ბევრ მომდევნო თეოლოგიურ, ფილოსოფიურ, ლიტერატურულ ტექსტში; გადაღებულია ფილმებში, მაგალითად, და ა.შ. (მულტფილმებია ამაზე გადაღებული, სხვათა შორის).
საქმე ეხება უკვე არა მხოლოდ პრინციპის გამოხატვას, რასაც ჰქონდა ადგილი მზის შედარებაში, და არა მთელი სამყაროს მოდელის მოცემას, რასაც ჰქონდა ადგილი წრფის შედარებაში, არამედ საქმე ეხება სამყაროში ადამიანის ადგილის განსაზღვრას. სოკრატე ამბობს: წარმოვიდგინოთ ადამიანები, რომლებიც მიბმულები არიან გამოქვაბულში ზურგით გასასვლელისაკენ, ისინი უყურებენ მხოლოდ და მხოლოდ გამოქვაბულის კედელს, რომელიც მათ წინ არის, და ამ კედელზე აირეკლება სხვადასხვა საგნები... რატომ აირეკლება? იმიტომ, რომ მათ უკან ცეცხლი ანთია და ცეცხლსა და მიბმულ ადამიანებს შორის დადიან ვიღაცები და დააქვთ სხვადასხვა საგნები (მაგალითად, თიხის ნაკეთობები და ასე შემდეგ). ამ ადამიანებს, ვინც მიბმულია მღვიმეში, არ აქვთ არანაირი ცოდნა ნამდვილ რეალობაზე. მათ იციან მხოლოდ ჩრდილები და ჩრდილების სამყარო. ყველაზე გამჭრიახი და ყველაზე მცოდნე ის არის, ვინც ახერხებს ყველაზე კარგად დაინახოს განსხვავებები და დეტალები ჩრდილებს შორის, მაგრამ, რასაკვირველია, ამ ყველაზე გამჭრიახსაც კი არანაირი წარმოდგენა არ აქვს, სინამდვილეში როგორია ჭეშმარიტება და როგორია ნამდვილი რეალობა. წარმოვიდგინოთ, ამბობს პლატონი, რომ ერთი მათგანი გათავისუფლდა ბორკილებისგან და მღვიმიდან გამოვიდა. პლატონი დაწვრილებით აღწერს, რა დაემართება მას, როგორ უნდა შეაჩვიოს მან თავისი თვალები ნათელს, ჯერ რას შეხედავს და შემდეგ საბოლოოდ როგორ მივა იქამდე, რომ მზეს - სინათლისა და შემეცნების და ყოფნის წყაროს - როგორ გაუსწორებს საბოლოოდ თვალს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ერთი ადამიანი, რომელიც გამოვა გამოქვაბულიდან, დაინახავს, რომ სინამდვილე სრულიად სხვანაირად გამოიყურება, რომ ჭეშმარიტება სრულიად განსხვავებულია იმისაგან, რაც მას მთელი თავისი ცხოვრება ეგონა.
ამ შედარების არსი, რასაკვირველია, იმაში მდგომარეობს, რომ პლატონი ამბობს: ჩვენ ჩვენს ცხოვრებას ისევე ვატარებთ, როგორც გამოქვაბულში დაბმული ადამიანები. ის, რაც ჩვენ გვგონია ჩვენი ცხოვრება, ნამდვილი ცხოვრება ჩვენს სამყაროში, სინამდვილეში არის სრულიად ყალბი და ჩვენ გვჭირდება დიდი ძალისხმევა, რათა ნამდვილ სამყაროს მივაქციოთ ყურადღება და დავინახოთ, რომ სინამდვილეში ეს გრძნობადი, ხილული სამყარო არის ილუზია და რომ მას აქვს თავისი მოდელი, თავისი საფუძველი; რომ ყველაფერი, რასაც ჩვენ ვხედავთ, არის მხოლოდ ანარეკლი, რომ არსებობს ჭეშმარიტი სამყარო და ამ ჭეშმარიტ სამყაროს მხოლოდ გონებით მივაღწევთ.
ეს არის, სხვათა შორის, იდეა, რომლითაც პლატონმა მოახდინა უზარმაზარი გავლენა მომდევნო აზროვნების განვითარებაზე; იდეა, რომლის მიხედვითაც ის სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, არ არის ერთადერთი და, მეტიც, ის არ არის ნამდვილი და ნამდვილი სამყარო სხვაგანაა. ამ იდეას ჩვენ შევხვდებით ძალიან ხშირად. ქრისტიანული თეოლოგია

ცდილობდა პლატონის ამ მეტაფიზიკის ინტენსიურ გამოყენებას და ის გრძელდებოდა მე-19 საუკუნემდე, სანამ ამ იდეას არ შეხვდა ძლიერი კრიტიკა - ჩვენ ასევე გავივლით იმ ავტორებს (განსაკუთრებით, მაგალითად, ნიცშეს), რომლებიც შეეცადნენ, რომ სამყაროს ეს ორმაგი გაგება, ორი სამყაროს გამიჯვნა დაეყენებინა ეჭვის ქვეშ. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, აქ არის პლატონის მთავარი ინტუიცია, მთავარი იდეა, მოძღვრების მთავარი ელემენტი, რომ ეს სამყარო არ არის ერთადერთი სამყარო, რომ ეს სამყარო არ არის ნამდვილი სამყარო.

ახლა რომ დავუბრუნდეთ მის შედარებას, რას იზამს ადამიანი, რომელმაც დატოვა გამოქვაბული; რას იზამს ადამიანი, რომელიც მიხვდა, რომ მთელი თავისი ცხოვრება სინამდვილეში ილუზია იყო? პლატონი ამბობს, რომ მისი გული აივსება თანალმობით თავისი მოძმეების მიმართ, დაბრუნდება გამოქვაბულში და შეეცდება, თავის მეგობრებს თუ თავის თანამოძმეებს აუხსნას, რომ სინამდვილეში რაც მათ ცხოვრება ჰგონიათ, ნამდვილი ცხოვრება არ არის. პლატონი წინასწარმეტყველებს, თუ რა დაემართება ამ ადამიანს - რასაკვირველია, მას არ მოუსმენენ, გაღიზიანდებიან და, საბოლოოდ, შეიძლება იმდენად გაღიზიანდნენ და განრისხდნენ მასზე, რომ მოკლან კიდეც ის. აქ არის პლატონის ძალიან ღრმა ირონია, იმიტომ, რომ გამოქვაბულის ამ იგავს ჰყვება სოკრატე. სოკრატე, რასაკვირველია, როდესაც პლატონი ამ ტექსტს წერს, უკვე კარგა ხნის გარდაცვლილია. კარგა ხნის დასჯილია სიკვდილით და პლატონი იგავური ფორმით სოკრატეს აყოლინებს თავისი სიკვდილის ამბავს, იმიტომ, რომ სოკრატე, ცხადია, პლატონის თვალში იყო ის ადამიანი, რომელიც გავიდა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მიღმა, დაინახა ჭეშმარიტება, შემოტრიალდა ჩვენკენ და შეეცადა, თავისი ათენელი თანამოძმეებისთვის აეხსნა, თუ რაში მდგომარეობდა ჭეშმარიტი ცოდნა და ჭეშმარიტი რეალობის არსი. და, რასაკვირველია, მისი თნამოძმეები ისე გაღიზიანდნენ, რომ დასაჯეს სიკვდილით.

აქ არის პლატონის არა მარტო ირონია, არამედ გარკვეული სკეპტიციზმიც, დაკავშირებული ნებისმიერ საზოგადოებრივ მოწყობასთან, იმიტომ, რომ რასაც პლატონი გვთავაზობს ჩვენ, როგორც წარმოდგენას ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისა, ეს არის უაღრესად უარყოფითი სურათი, რომელიც განმსჭვალულია ლამის შეთქმულების თეორიული წარმოდგენებით იმაზე, რომ ჩვენ, ყველანი, დაბმულები ვართ და ჩვენ გვიშლიან სინამდვილეში ჭეშმარიტების დანახვაში ხელს და აქ იწყება, სხვათა შორის, ფილოსოფიისა და საზოგადოების, ფილოსოფიისა და სახელმწიფოს კონფლიქტი, რომელიც ევროპული აზროვნების ისტორიას გასდევს, თუ შეიძლება ასე ითქვას, როგორც ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა თან, და ჩვენ ვხედავთ პლატონთან, თუ როგორ იბადება აზროვნების ძალიან დიდი ეჭვი საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიმართ.